

**ევროკავშირისა და ნავრი სახელმწიფოების  
საბარემ დანმარება საქართველოში:  
პრიორიტეტული სფეროები და მიზნები**

კვლევის ანგარიში

მკვლევართა ჯგუფი:

ანა დვალი  
მისეილ ჯახუა  
ივან ჩიკალო

პროექტის დირექტორი:

გიორგი კანაშვილი

მთარგმნელი  
დიზაინერი

გურამ ღუმბაძე  
ანა ბრატვაძე



კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN  
HOUSE

პუბლიკაცია მომზადებულია ა(ა)იპ „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლის“ მიერ თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი ასახავს ავტორთა პოზიციას და არ უნდა იქნეს მიჩნეული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციად.

## შინაარსი

შესავალი .....	5
საქართველო-ევროკავშირის პრიორიტეტული სფეროები და ორმხრივი თანამშრომლობა ...	6
საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის სფეროები.....	9
მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება.....	9
საჯარო სექტორის რეფორმა .....	13
ეკონომიკური განვითარება, სიღარიბის შემცირება და სოციალური დაცვა .....	14
სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარება.....	15
დასკვნა.....	19
დანართი.....	20

## შესავალი

ევროკავშირი საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ დონორს წარმოადგენს, რომლის დახმარების სფეროები ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს მოიცავს. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ცალკეული სახელმწიფოები სხვადასხვა მასშტაბითა და სხვადასხვა სფეროში წარმოდგენილი არიან როგორც დონორი ქვეყნები.

სტაბილური და განვითარებული სამეზობლო გარემო ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამას ადასტურებს ევროკავშირის პროგრამები და ფინანსური დახმარება რეგიონში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შემდეგ ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების ჩართულობა და პოლიტიკური დიალოგი საქართველოსთან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა. **2007-2015 წლებში ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარებამ საქართველოსადმი 487.66 მილიონი ევრო შეადგინა და ამ პერიოდის განმავლობაში პერმანენტულად იზრდებოდა.**<sup>1</sup>

ევროკავშირთან ინტენსიური ურთიერთობების პარალელურად, თბილისი დაინტერესებულია, გააღრმავოს ორმხრივი ურთიერთობები წევრ სახელმწიფოებთან, გაიზიაროს ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიული ტრანზიციის, რეფორმების, განვითარებისა თუ ევროინტეგრაციის გამოცდილება. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა დოზით არიან ჩართული საქართველოში მიმდინარე რეფორმების განხორციელებასა და სხვადასხვა სფეროს განვითარებაში. იკვთება, რომ მათი ინტერესები, ინტერვენციის სფეროები და დახმარების ოდენობა განსხვავდება და ამას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ძირითადია: *ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, გამოცდილება კონკრეტულ სფეროში და ფინანსური შესაძლებლობები.*

წარმოდგენილი დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის ძირითადი სფეროების გამოკვეთას. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი ფორმატები და ხელშეკრულებები, საქართველოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ორმხრივი ურთიერთობა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტები და ინტერვენციის სფეროები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები სახელმწიფო სტრუქტურებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, კერძოდ, *გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხეთის, ჰოლანდიის, ლიტვის, ესტონეთის, პოლონეთის, რუმინეთის, შვედეთის საელჩოების წარმომადგენლებთან, აგრეთვე, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებთან, სოფლის მეურნეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებთან.* კვლევაში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა დონორთა კოორდინაციის სამსახურის (რომელიც წარმოადგენს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულს) 2014 და 2015 წლების ანგარიშებს და მთავრობის ადმინისტრაციის, ფინანსთა სამინისტროსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული ერთობლივი ელექტრონული ბაზის eaims.ge-ის მონაცემებს.

**კვლევა მოიცავს, ერთი მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ძირითად სფეროებს, მეორე მხრივ კი, საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივ თანამშრომლობას.** საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის საჭიროა კვლევის გაგრძელება ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების პროგრამების/პროექტების ხარჯ-ეფექტიანობის შეფასების მიმართულებით, რათა გაანალიზდეს, რამდენად ეფექტურია დონორთა მიერ დახარჯული თანხები კონკრეტული სფეროს განვითარებისთვის.

<sup>1</sup> DATA.Gov.Ge, <http://data.gov.ge/DataSets/Browse/80d81db8-9ef3-4fb8-9f2c-3e2a6dc8495e>

## საქართველო-ევროკავშირის პრიორიტეტული სფეროები და ორმხრივი თანამშრომლობა

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 90-იანი წლებიდან იწყება. 1996 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც პოლიტიკური დიალოგის, დემოკრატიის მხარდაჭერისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩოს წარმოადგენდა. თუმცა ამ პერიოდში ევროკავშირის დაინტერესება საქართველოსადმი და, ზოგადად, რეგიონისადმი, არც თუ ისე მაღალი იყო. 2003 წლიდან ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შემუშავებამ და, მოგვიანებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ამოქმედებამ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადაიყვანა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან **ასოცირების შეთანხმებას**, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას გულისხმობს. პარალელურად, საქართველო და ევროკავშირი შეთანხმდნენ **ასოცირების დღის წესრიგზე**,<sup>2</sup> რომელიც ადგენს საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლებში ერთობლივი მუშაობისათვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას.<sup>3</sup> ასოცირების დღის წესრიგით შემდეგი პრიორიტეტული სფეროები განისაზღვრა:

- პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა;
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება;
- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები;
- ეკონომიკური თანამშრომლობა;
- თანამშრომლობის სხვა სფეროები.<sup>4</sup>

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) **მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩო (SSF)**, რომელიც 2014-2017 წლების ორმხრივი ურთიერთობების პრიორიტეტულ სფეროებსა და დახმარების ოდენობას განსაზღვრავს. დოკუმენტით, აღნიშნულ პერიოდში, საქართველოსათვის გათვალისწინებული საორიენტაციო დაფინანსება განსაზღვრულია **335-410 მილიონი ევროს ფარგლებში**. საქართველო და ევროკავშირი თანხმდებიან, რომ რეფორმების გატარების ფარგლებში ითანამშრომლებენ სამ პრიორიტეტულ სექტორში:<sup>5</sup>

- საჯარო სამსახურის რეფორმა (რომელზეც SSF-ით გათვალისწინებული დაფინანსების 25% მოდის);
- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება (დაფინანსების 30%);
- მართლმსაჯულების სექტორის რეფორმა (დაფინანსების 25%);
- დაფინანსების 20% განკუთვნილია სამოქალაქო საზოგადოების (5%) და ინსტიტუციური განვითარებისთვის (15%), რაც ევროკავშირ-საქართველოს ხელშეკრულებების (AA, DCFTA, VLAP) განხორციელებისთვის მხარდაჭერას გულისხმობს.

<sup>2</sup> ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების დღის წესრიგი; Civil.ge <http://www.civil.ge/files/files/EU-GeorgiaAssociationAgenda.pdf>

<sup>3</sup> შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. <http://www.eu-nato.gov.ge/eu/association-agreement>

<sup>4</sup> მოიცავს შემდეგ სფეროებს: ტრანსპორტი; ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება; სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა; ფინანსური მომსახურება; თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში; სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის სფეროებში; მომხმარებელთა პოლიტიკა; დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; საზოგადოებრივი ჯანდაცვა; განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; კულტურის სფეროში თანამშრომლობა; თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში; რეგიონული განვითარება და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა.

<sup>5</sup> სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიანიშვილმა და ევროკომისარმა, შტეფან ფულემ საქართველოს პარლამენტში ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს; საქართველოს პარლამენტი; 18 ივლისი, 2014;

<http://www.parliament.ge/ge/media/axali-ambebi/saxelmwifo-ministrma-aleqsi-petriashvilma-da-evrokomisarma-shtefan-fulem-saqartvelo-parlamentshi-xeli-moaweres-or-dokuments.page>


ასოცირების დღის წესრიგი და მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩოა ის ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებს განსაზღვრავს. კვლევის ფარგლებში შესწავლილი სფეროები აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით განისაზღვრა. გარდა ამისა, გაანალიზდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის სფეროები. აღნიშნულ დოკუმენტებზე, ასევე ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი სფეროები, რომელსაც ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ესენია:

1. მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება;
2. საჯარო სამსახურის რეფორმა;
3. ეკონომიკური განვითარება;
4. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება.

საელჩოებისა და ფონდების მიერ პრიორიტეტების განსაზღვრაში ძირითად ფაქტორს ქვეყნის გამოცდილება, კონკრეტულ სფეროში ექსპერტიზა და, ზოგადად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები წარმოადგენს. ასევე, დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყნის ფინანსურ შესაძლებლობებზე – რამდენად არის ქვეყანა „ტრადიციულად“ დონორი სახელმწიფო. მაგალითად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომელთა ფინანსური რესურსი დიდია, საქართველოს ძირითადი დონორი პარტნიორები არიან. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ყველაზე მსხვილი დონორების სამეული ასე გამოიყურება: გერმანია, შვედეთი, ჰოლანდია.<sup>6</sup>

**დონორთა კოორდინაციის სამსახურის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, გერმანიის მიმდინარე დახმარება შეადგენს 283 მილიონს, შვედეთის – 200 მილიონამდე, და ჰოლანდიის – 27 მილიონამდე აშშ დოლარს. 2015 წელს ორმხრივი დახმარების 34,9% გერმანიაზე მოდის, შვედეთზე – 19%; საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების 18,1%-ს კი ევროკავშირის დახმარება შეადგენს.<sup>7</sup>**

ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების დახმარება 2015 წლის მონაცემებით შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

<sup>6</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

<sup>7</sup> იქვე.

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის, რომელებმაც საგარეო დახმარების პოლიტიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიმუშავეს, საქართველო პრიორიტეტული ქვეყნების სიაშია, მათ შორის არიან: **ლიტვა, ესტონეთი, ბულგარეთი და რუმინეთი**. აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართული როგორც ევროკავშირის პროგრამებში, ისე ორმხრივ ფორმატებში რეფორმების გამოცდილების გაზიარებისა და ტექნიკური დახმარების სახით, მათ შორის აღსანიშნავია **პოლონეთის და ჩეხეთის** დახმარება.

ევროკავშირისა და ნევრი ქვეყნების ფინანსური დახმარების რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს: **საბიუჯეტო დახმარება, გრანტი, ტექნიკური დახმარება და საინვესტიციო პროექტები**. დახმარებები ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში ხორციელდება როგორც უშუალოდ თბილისში არსებული საელჩოების დაფინანსებით, ისე ქვეყნების სხვადასხვა უწყებებისა თუ განვითარების სააგენტოების მიერ; დამოკიდებულია, თუ საგარეო დახმარების როგორი სისტემა აქვს ამა თუ იმ ქვეყანას.



# საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის სფეროები

## მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შეთანხმებით მიღებული ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად 2014-2016 წლებში თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება**, რომლის ფარგლებშიც მხარეები შემდეგ სფეროებში თანამშრომლობენ: *პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მიგრაცია და თავშესაფარი, საზღვრის მართვა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლა უკანონო ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ, სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობა*. ანალოგიური პრიორიტეტებია განსაზღვრული მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩო ხელშეკრულებითაც.<sup>8</sup>

კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი რეფორმების განხორციელებაში საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ევროკავშირი, რომლის დახმარებაც მიმართულია როგორც სამთავრობო უწყებების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი.<sup>9</sup>

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით, **მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა** მოიცავს ცვლილებების განხორციელებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რათა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მხარეების თანასწორობის გაზრდა. რეფორმა მოიცავს სასამართლოს მოხელეთა კომპეტენციის გაზრდასა და პროკურატურისთვის ეფექტიანი ზედამხედველობის საკონსტიტუციო ჩარჩოს შექმნას. მართლმსაჯულების რეფორმა მოიცავს აგრეთვე სისხლის სამართლის სფეროში რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პოლიტიკის განვითარებას.<sup>10</sup>

მართლმსაჯულების სფეროს განვითარების მიზნით, თანამშრომლობა ხორციელდება ასევე ევროკავშირის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს სამთავრობო უწყებებს შორის. დონორთა კოორდინაციის სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით დახმარების ოდენობამ შეადგინა 289.9 მილიონი ლარი (152.7 მილიონი აშშ დოლარი). ევროკავშირთან ერთად, წევრი სახელმწიფოებიდან აღსანიშნავია **შვედეთის** (56, 53 მილ ლარი), **გერმანიის** (5,37 მილიონი ლარი) და **ჰოლანდიის** (3,27 მილიონი ლარი) დახმარება.<sup>11</sup>

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ეგიდით **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ი** ხელს უწყობს საქართველოში სამართლებრივი და სასამართლო სისტემების რეფორმას. ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საკონსულტაციო დახმარება სტრატეგიების შემუშავებასა და სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში; აგრეთვე უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებასა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ევროპულ სტანდარტებთან სამართლებრივი დაახლოების რეგიონული პროექტის ახალი ფაზა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გულისხმობს 2015-18 წლებში 7 მილიონი ევროს ღირებულების პროექტების განხორციელებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში<sup>12</sup>. აღნიშნული პროექტი გულისხმობს დიალოგს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის სფეროში, კონსულტაციებს კანონმდებლობასა და სტრატეგიასთან

<sup>8</sup> ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;

[http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718\\_01\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718_01_ka.pdf)

<sup>9</sup> ევროკავშირმა საქართველოს ფინანსური დახმარება 2008–2014 წლებშიც აღმოუჩინა. შედეგად, გადაიხედა სისხლის სამართლის კოდექსი, გაფართოვდა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან აცილების პროგრამა, შემუშავდა არასრულწლოვანთა სამართლის კოდექსი, განხორციელდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, სასამართლოსა და პოლიციის სისტემების რეფორმა, ინიცირდა პროკურატურის რეფორმა.

<sup>10</sup> საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი. [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap\\_aa/associationagenda\\_2014\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf).

<sup>11</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

<sup>12</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2014; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

დაკავშირებით, მხარდაჭერას ინტეგრირებული იურიდიული დახმარების განვითარებაში.<sup>1314</sup> **საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების გერმანული ფონდი (IRZ)** ახორციელებს პროექტებს, უმთავრესად, სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო.<sup>15</sup>

## ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში „ასოცირების დღის წესრიგი“ ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა დაცვის ყოველმომცველი ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, ანტიდისკრიმინაციული კანონი, უზრუნველყოს უნარშეზღუდულ პირთა უფლებების თაობაზე გაეროს კონვენციის ეფექტიანი შესრულება.<sup>16</sup>

ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2014 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“ (2014–2020 წლებისთვის) და 2014-2015 წლის ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღება.<sup>17</sup> გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი“, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები შრომის, სისხლის სამართლისა და საარჩევნო კოდექსებში, მოხდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირება.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს **ნიდერლანდების სამეფო**. თბილისში ნიდერლანდების საელჩოს აქტივობები მიმართულია სამოქალაქო სექტორის გაძლიერებისაკენ. ძირითად თემატიკას წარმოადგენს დემოკრატიზაციის პროცესი, ადამიანის, განსაკუთრებით ქალთა და უმცირესობებთან უფლებების დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები არ წარმოადგენს **გერმანიის** საელჩოს უმთავრეს პრიორიტეტს, იგი ყოველწლიურად გასცემს მცირე გრანტებს (45 000 ევრო) აღნიშნული მიმართულებით. პროექტები ძირითადად გულისხმობს მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას.<sup>18</sup> საქართველოში **ჩეხეთის** რესპუბლიკის საელჩო გასცემს გრანტებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე ლგბტ პირთა უფლებების დასაცავად.<sup>19</sup>

დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვა საქართველოში **შვედეთის** დახმარების ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2011-2015 წლებში **შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA)** მიერ გაეროსთან ერთობლივად ხორციელდებოდა პროგრამა საქართველოში გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად.<sup>20</sup> პროექტი გულისხმობს ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას, ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული ნიშნით მკვლევლობებისაგან დაცული გარემოს შექმნას, ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცულობის უზრუნველყოფას. პროექტის განმახორციელებლები იყვნენ: საქართველოს პარლამენტი, სხვადასხვა სახელმწიფო უწყება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სურსათის ეროვნული სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სერვისების განვითარების სააგენტო) და არასამთავრობო ორგანიზაციები.<sup>21</sup>

<sup>13</sup> ევროკავშირი იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის რეფორმირებაში დაეხმარება; 2 დეკემბერი, 2015; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5062>

<sup>14</sup> მიმდინარე პროექტები; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; <http://hcoj.gov.ge/ge/reforms/ongoing-projects>

<sup>15</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2014; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია .

<sup>16</sup> European Union External Action ; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718\\_01\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718_01_ka.pdf)

<sup>17</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391005>

<sup>18</sup> “გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანობა საქართველოში” - საინფორმაციო ბუკლეტი; დეკემბერი 2015.

<sup>19</sup> ინტერვიუ ჩეხეთის საელჩოს წარმომადგენელთან

<sup>20</sup> საქართველოში გაეროს წარმომადგენლობა; [http://www.ungeorgia.ge/eng/UN\\_in\\_Georgia/un\\_agencies?info\\_id=28#Vxl2pPI97IU](http://www.ungeorgia.ge/eng/UN_in_Georgia/un_agencies?info_id=28#Vxl2pPI97IU)

<sup>21</sup> შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; <http://www.sida.se/English/where-we-work/Europe/Georgia-/Our-work-in-Georgia/>

## უსაფრთხოება

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა და სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება.<sup>22</sup> კრიმინალთან ბრძოლისას მიღწეული შედეგების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის 2015-2016 წლებისთვის დასახული იქნა შემდეგი პრიორიტეტები: შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება თანამედროვე საპოლიციო მექანიზმების მეშვეობით ეფექტური გამოძიების წარმოებისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვა და პატივისცემა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში სამინისტროს ეფექტურობის ზრდა და შსს-ს მხარდაჭერა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.<sup>23</sup> უსაფრთხოების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების/სახელმწიფოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი პროექტები. შსს-ს ევროკავშირთან და მის წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ძირითადი სფეროებია: **მიგრაცია, საზღვრის დაცვა და ადამიანის უფლებები.**

აღნიშნული მიმართულებით 2014 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხორციელდება “აღმოსავლეთ პარტნიორობის საპოლიციო თანამშრომლობის პროგრამა”, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარების გზით. საპოლიციო თანამშრომლობის პროგრამაში წამყვან პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენს **ლიტვა**, რომელთანაც ხდება უშუალოდ გამოცდილების გაზიარება, ხოლო პროექტის თანაპარტნიორია **შვედეთი**. პროექტი მოიცავს საპოლიციო თანამშრომლობის გაზრდას ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. პროექტის განხორციელების პერიოდია 2014-2017 წლები და მასში, ლიტვისა და შვედეთის გარდა, ჩართულნი არიან ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოებიც: **ფინეთი, ავსტრია, გერმანია და საფრანგეთი**. პროექტის სამოქმედო გეგმა მოიცავს კიბერდანაშაულთან და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, თანამშრომლობას სასამართლო ექსპერტიზასთან დაკავშირებით, აგრეთვე ნარკოდანაშაულთან ბრძოლას და თანამშრომლობას შსს-ს პოლიციის აკადემიასთან.<sup>24</sup>

2013-2015 წლებში ევროკავშირის დაფინანსებით **უნგრეთის** შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ განხორციელდა პროგრამა **არალეგალურ მიგრაციასთან** დაკავშირებით. თანამშრომლობა მიზნად ისახავდა არალეგალური მიგრაციის პრევენციასა და საზღვრის ეფექტურად და კოორდინირებულად მართვას. იგი მოიცავდა: არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას, რეადმისიის<sup>25</sup> პროცესის ხელშეწყობას, ლეგალურად მცხოვრები მიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობას მასპინძელ ქვეყანაში, თავშესაფარს და საერთაშორისო დაცვას.<sup>26</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თემატურად თანამშრომლობს ევროკავშირის ცალკეულ სახელმწიფოებთან. ორმხრივ ფორმატებში კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში **დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდების სამეფო, გერმანია და ესტონეთი** სხვადასხვა სახის პროექტში იყვნენ ჩართული. ოჯახში ძალადობის საკითხზე შსს თანამშრომლობდა **ესტონეთთან** <sup>27</sup>, ხოლო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და მიგრაციის საკითხებზე – **ავსტრიასთან**.

<sup>22</sup> „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“ (2014–2020 წლებისთვის)“ გვ, 12

<sup>23</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია .

<sup>24</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. <http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti/donorta-koordinatsia/proqtebis-shesakheb/ongoing-projects/aghmosavlet-partniorobis-qvnebis-politiisi-sferoshi-tanamshromloba>

<sup>25</sup> ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე არალეგალურად და უნებართვოდ მცხოვრები პირების დაბრუნება საქართველოში

<sup>26</sup> შესრულებული პროექტები; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; <http://tinyurl.com/zw4dxk6>

<sup>27</sup> „პოლიციელთა შესაძლებლობების ზრდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“ პროექტის მენეჯერ-თა საკოორდინაციო შეხვედრა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 27.09.2012; <http://tinyurl.com/zckjmnh>



მიგრაციის საკითხებზე სამინისტრო აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს **ნიდერლანდებთან, პოლონეთთან და ბელგიასთან.**<sup>28</sup>

უსაფრთხოებისა და კრიზისებზე ოპერატიული რეაგირებისათვის 2014 წელს შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. მისი ძირითადი ფუნქციაა სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში და ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების დროს უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. საბჭოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საქართველოს სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან (აშშ, ისრაელი) ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის **დიდ ბრიტანეთს**. კრიზისების მართვის ქართული ცენტრი სწორედ ბრიტანული ე.წ. COBRA-ს (Cabinet Office Briefing Room)<sup>29</sup> მოდელის მიხედვითაა შექმნილი.<sup>30</sup>

## კონფლიქტების დარეგულირება

ევროკავშირის ძალისხმევა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიმართულებით გულისხმობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მხარდაჭერას; საერთაშორისო მექანიზმების ეფექტურ მუშაობას (მათ შორის ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატის სრულად შესრულებას); იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას; ხალხთა შორის კონტაქტებისა და ნდობის აღდგენას.<sup>31</sup>

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საქმიანობა კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების სფეროში მოიცავს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში (EUMM) მონაწილეობას. ამ მისიაში თანამშრომელთა რაოდენობით ყველაზე მსხვილ კონტრიბუტორებს წარმოადგენენ **რუმინეთი** (27 წარმომადგენელი), **შვედეთი** (21), **ჩეხეთი** (18), **პოლონეთი** (17) და **დიდი ბრიტანეთი** (14).<sup>32</sup>

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან მშვიდობის მშენებლობის პროცესში აქტიურად არის ჩართული **დიდი ბრიტანეთი**. კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით **დიდი ბრიტანეთის** დახმარება უმთავრესად მიმართულია არასამთავრობო სექტორისკენ. პროექტები გულისხმობს დიალოგს კონფლიქტურ მხარეებს შორის და ახალგაზრდების ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. პროექტები ხორციელდება კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ფარგლებში.<sup>33</sup> გარდა ამისა, პროექტები ხორციელდება უშუალოდ აფხაზეთში ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. აღსანიშნავია პროექტები გალში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.<sup>34</sup>

**შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (SIDA) დაფინანსებით UNICEF ახორციელებს პროექტს აფხაზეთში ბავშვთა უფლებების დაცვისა და სოციალურ საკითხებზე, რასაც აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი კონფლიქტის მხარეთა შორის ნდობის მშენებლობის მიმართულებითაც. SIDA-ს დაფინანსებით დანიის დევნილთა საბჭოს მიერ 2012-2014 წლებში ხორციელდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დახმარება დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად.<sup>35</sup>

<sup>28</sup> ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან.

<sup>29</sup> ლონდონი 2012; რას ნიშნავს კობრა?; 23.01.2013; BBC <http://www.bbc.com/news/uk-politics-18958032>

<sup>30</sup> საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი; [http://www.for.ge/view\\_news.php?news\\_id=47477&news\\_cat=0](http://www.for.ge/view_news.php?news_id=47477&news_cat=0)

<sup>31</sup> საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap\\_aa/associationagenda\\_2014\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf)

<sup>32</sup> ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში. [https://www.eumm.eu/ge/about\\_eumm/facts\\_and\\_figures](https://www.eumm.eu/ge/about_eumm/facts_and_figures)

<sup>33</sup> სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის პროექტების ჩამონათვალი <http://qna.files.parliament.uk/qna-attachments/458084/original/CSSF%20Projects%20for%20PQ.docx>

<sup>34</sup> ავტორის ინტერვიუ თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელთან.

<sup>35</sup> შეთანხმება SIDA-სა და დანიის დევნილთა საბჭოს შორის; [http://iati.openaid.se/docs/949594\\_1\\_0.pdf](http://iati.openaid.se/docs/949594_1_0.pdf)

## საჯარო საქმის რეფორმა ინსტიტუციური განვითარება

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (საქართველო 2020) მიზნად ისახავს საჯარო პოლიტიკის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების ეტაპობრივ გაძლიერებას საჯარო სექტორში, რაც პოლიტიკის შემუშავებას, სტრატეგიულ დაგეგმვას, შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების განვითარებას ითვალისწინებს.<sup>36</sup> აღნიშნული სტრატეგიული ამოცანის გადაჭრის მიზნით 2015 წელს შემუშავდა „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი“,<sup>37</sup> რომელიც აერთიანებს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროს, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ერთიანი და კოორდინირებული მიდგომა. დოკუმენტი ითვალისწინებს **ადამიანური რესურსების მართვის სისტემის რეფორმასა** და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით **დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესებას**.<sup>38</sup> საჯარო სამსახურის რეფორმა პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს ევროკავშირისთვისაც და მასზე ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩოთი (SSF) გათვალისწინებული დაფინანსების 25% მოდის.<sup>39</sup>

დემოკრატიული მმართველობის თემატურ სექტორზე დონორთა დახმარების საერთო მოცულობამ 2015 წელს 491.8 მილიონი ლარი (262.6 მილიონ აშშ დოლარი) შეადგინა, ტექნიკური დახმარებისა და გრანტების სახით. ევროკავშირთან ერთად, წევრი სახელმწიფოებიდან აღსანიშნავია **შვედეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ესტონეთის, ჩეხეთისა და ნიდერლანდების სამეფოს** დახმარება აღნიშნული სექტორის განვითარებისთვის.<sup>40</sup>

დემოკრატიული მმართველობის განვითარების მიმართულებით საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის არის **შვედეთი**, რომლის დახმარებამ 2015 წლისათვის შეადგინა 128.74 მილიონი ლარი<sup>41</sup>, რაც მკვეთრად აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს (34.190 მილიონი ლარი). შვედეთის დახმარებით ხორციელდება პროექტები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სერვისების განვითარების სააგენტოში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და გარემოსდაცვის სააგენტოში. ასევე ხდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა საგრანტო მექანიზმების გამოყენებით.<sup>42</sup>

სახელმწიფო მმართველობის სფეროში **გერმანიის** მხარდაჭერა ხორციელდება საჯარო ფინანსების მენეჯმენტის მიმართულებით. მისი მიზანია, კონსულტაციების მეშვეობით შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმარებისა და მისი შესრულების საკითხებში დახმარება, შიდა ადმინისტრაციული საკონტროლო სისტემების ჩამოყალიბება, გარე საფინანსო (კონტროლის პალატა) და საპარლამენტო კონტროლის ფუნქციის გაძლიერება, საგადასახადო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება. გერმანიასთან თანამშრომლობა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმართულებითაც. იგი გულისხმობს თემთათვის ადგილობრივი თვითმმართველობის გაუმჯობესების, ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის მონეობის საკითხში კონსულტაციებს, აგრეთვე სამინისტროებს, რეგიონებსა და თემებს შორის შეთანხმებული მოქმედების ხელშეწყობას.<sup>43</sup>

საჯარო მმართველობა **დიდი ბრიტანეთისთვის** ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. დახმარება ხორციელდება *კარგი მმართველობის ფონდის* (Good Governance Fund) ფარგლებში. დახმარება მიმართულია სტრატეგიული კომუნიკაციის განვითარებისაკენ გამოცდილების გაზიარების,

<sup>36</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის (საქართველო 2020)

<sup>37</sup> საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; 25 მაისი 2015; [http://gov.ge/files/423\\_49307\\_626772\\_PAR\\_Geo\\_Draft\(1\).pdf](http://gov.ge/files/423_49307_626772_PAR_Geo_Draft(1).pdf)

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩო; [http://eeas.europa.eu/enp/pdf/financing-the-enp/georgia\\_2014\\_2017\\_programming\\_document\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/enp/pdf/financing-the-enp/georgia_2014_2017_programming_document_en.pdf).

<sup>40</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანობა საქართველოში“ საინფორმაციო ბუკლეტი, დეკემბერი 2015.

ექსპერტული დახმარებისა და რეკომენდაციების შემუშავების მეშვეობით. თანამშრომლობა ხორციელდება პრემიერი-მინისტრის აპარატთან, აგრეთვე თავდაცვის სამინისტროსთან, რაც მოიცავს სამოქალაქო და სამხედრო პირთა გადამზადებას.<sup>44</sup>

საჯარო მმართველობის განვითარებაში ჩართულია ჩეხეთის რესპუბლიკა, რომლის მხარდაჭერა უმეტესწილად მიმართულია ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე. საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის პროგრამა, რომელიც 2014-2016 წლებში განხორციელდა, უმთავრესად გულისხმობდა სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციის ჩეხური გამოცდილების გაზიარებას.<sup>45</sup>

საქართველოსთვის საინტერესოა ესტონეთის გამოცდილება საჯარო მმართველობის განვითარებაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებაში ესტონური მოდელის გაცნობაზე. დახმარება ძირითადად გამოიხატება საჯარო მოხელეების გადამზადებაში და ესტონელი ექსპერტების მიერ კონსულტაციების განწევაში.<sup>46</sup>

## ეკონომიკური განვითარება, სიღარიბის შემცირება და სოციალური დაცვა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მოიცავს სტრუქტურულ რეფორმებს, რაც გულისხმობს ეკონომიკურ ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, DCFTA-ის პოტენციალის გამოყენებას. საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“-ის მიხედვით, საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 2014-20 წწ-სთვის შემდეგია: საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურისა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიის განვითარება.<sup>47</sup>

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური რეფორმები ძირითადად მიმართულია ქვეყნის კანონმდებლობისა და რეგულაციების ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სტანდარტებთან დაახლოებისკენ, რაც საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების/DCFTA-ით სრულად სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს. საშუალო და მცირე წარმოების განვითარება, ექსპორტის სტრუქტურის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა სტარტაპების და ტექნიკური დახმარების მეშვეობით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარ ღერძებად განიხილება.

დონორთა კოორდინაციის სამსახურის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოსთვის განკუთვნილი მიმდინარე საგარეო დახმარება (გრანტებისა და შეღავათიანი სესხების სახით) შეადგენს 6,82 მილიარდ ლარს (3,56 მილიარდ დოლარს). აქედან, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე დახმარების ყველაზე დიდი წილი მოდის და იგი 2,34 მილიარდ ლარს შეადგენს (1,34 მილიარდ დოლარს). ყველაზე დიდ კონტრიბუტორებს წარმოადგენენ: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, ევროკავშირი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.<sup>48</sup>

რაც შეეხება ორმხრივ ურთიერთობებს, ეკონომიკური ზრდის სექტორზე დაფინანსების ყველაზე დიდი წილი მოდის აშშ-ზე (ორმხრივი დახმარების 36,5%), გერმანიასა (34,9%) და შვედეთზე (19%).<sup>49</sup>

საგარეო დახმარების ძირითადი წილი ეკონომიკის განვითარების თემატურ სფეროში მოდის საერთაშორისო ორგანიზაციებზე. ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება მსხვილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მაგალითად, ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის დასავლეთ ნაწილის მშენებლობა, ზესტაფონიდან აჭარის რეგიონამდე. (სულ 68 კმ).<sup>50</sup>

<sup>44</sup> ავტორის ინტერვიუ თბილისში ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელთან.

<sup>45</sup> ჩეხეთის განვითარების სააგენტო; [http://www.czda.cz/czda/en\\_126/en\\_143/en\\_928.htm](http://www.czda.cz/czda/en_126/en_143/en_928.htm)

<sup>46</sup> ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press\\_corner/all\\_news/news/2015/20151109\\_1\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2015/20151109_1_ka.htm)

<sup>47</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020 [http://www.economy.ge/uploads/news/giorgi\\_kvirkashvili/Strategy2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirkashvili/Strategy2020.pdf)

<sup>48</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იქვე.

ეკონომიკური ზრდა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია (მათ შორის შიდა რეგულაციების DCFTA-ისთან შესაბამისობაში მოყვანა) თითქმის ყველა დონორი ქვეყნის საქმიანობის პრიორიტეტებში შედის. თუმცა დონორთა კოორდინაციის სამსახური ეკონომიკური ზრდის თემატურ კომპონენტში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან გამოჰყოფს **გერმანიის, პოლანდიის, ავსტრიის, ჩეხეთისა და ესტონეთის** ჩართულობას.<sup>51</sup>

**გერმანიის** დახმარების პრიორიტეტულ სფეროებს შორის არის *მდგრადი ეკონომიკური ზრდა*. დახმარება ძირითადად ხორციელდება გერმანიის ფედერაციის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს ფარგლებში (BMZ), გერმანიის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით. გერმანიის მიერ დაფინანსებული პროექტები მიმართულია კერძო და საჯარო სექტორის განვითარებაზე, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ფინანსური სექტორის ნახალისებაზე. ხორციელდება როგორც საინვესტიციო პროექტები, ასევე გაიცემა გრანტები და საბიუჯეტო დახმარება. **ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს** ერთ-ერთ პრიორიტეტს, სხვა სფეროებთან ერთად, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. 2015 წელს ნიდერლანდების საელჩოს დახმარებამ შეადგინა 80 ათასი ევროდან 100 ათას ევრომდე. დახმარების დიდი წილი მოდის გრანტებზე. მასშტაბური პროექტებიდან აღსანიშნავია ინფრასტრუქტურული პროექტები, საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია.

იმერეთის რეგიონში ტურიზმის, მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების პროექტები ხორციელდება **პოლონეთის განვითარების სააგენტოს** (Polish Development Cooperation) დაფინანსებით. პოლონეთის დახმარება მოიცავს გამოცდილების გაზიარებას რეფორმების განხორციელების მიმართულებით. ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია და საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა **SIDA**-ს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შვედეთის მთვარობის დახმარება ძირითადად ტექნიკური სახით, გრანტებითა და საინვესტიციო პროექტებით ხორციელდება.

**ესტონეთი, ლიტვა და ლატვია** ახალ დონორ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. აღნიშნული ქვეყნების დახმარებების ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაა. სამივე ქვეყნისთვის საქართველო მათი საგარეო დახმარების პრიორიტეტული ქვეყნების სიაში შედის. დახმარების ძირითად ინსტრუმენტებს ტექნიკური დახმარება, გამოცდილების გაზიარება და გრანტების გაცემა წარმოადგენს, რომლებიც ძირითადად სამოქალაქო ორგანიზაციებზე გაიცემა.

ეკონომიკური განვითარების თემატურ კომპონენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სოფლის მეურნეობის განვითარებაა, რაც დაწვრილებით ქვემოთ არის განხილული.

## სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარება

2013 წლიდან სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება საქართველოს ხელისუფლებამ პრიორიტეტულ სფეროდ გამოაცხადა. ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტსაც აღნიშნული დარგის განვითარება წარმოადგენს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 54% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული. სოფლის მეურნეობის უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში სოფლად დასაქმებული მოსახლეობის ოდენობასთან მიმართებით მიზერულია და 2015 წლის მონაცემებით 9,2%-ს შეადგენს.<sup>52</sup> ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გამოთიშულია

<sup>51</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

<sup>52</sup> მთლიანი შიდა პროდუქტი 2015 წელს; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 21.03.2016 [http://www.geostat.ge/cms/site/images/files/georgian/nad/pres-relizi\\_2015\\_GEO.pdf](http://www.geostat.ge/cms/site/images/files/georgian/nad/pres-relizi_2015_GEO.pdf)



ქვეყანაში ეკონომიკურ საქმიანობას. ფერმერების 95% არის მცირე ფერმერი, რომელიც საშუალოდ 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთს და 2 ძროხას ფლობს. შესაბამისად, მათი მოსავალი მცირეა.<sup>53</sup>

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება მჭიდრო კავშირშია ქვეყანაში სიღარიბის შემცირებასთან. თუმცა დღემდე ვერ მოხერხდა სოფლის მეურნეობის მოდერნიზება და ქვეყანა დიდწილად იმპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული. განვითარებული სოფლის მეურნეობა ქვეყანაში ეროვნული წარმოებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი სტიმული იქნება. ასოცირების ხელშეკრულებით, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შექმნით საქართველომ სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზების ვალდებულება აიღო. მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩოს ფარგლებში კი აღნიშნული სექტორი სამ პრიორიტეტულ სფეროს შორისაა და SSF-ის დახმარების 30% აღნიშნული დარგის განვითარებაზე მოდის.<sup>54</sup>

ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სტრატეგიის შემუშავება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დეპოპულაციისა და სიღარიბის შემცირება. სოფლის მეურნეობის განვითარება გულისხმობს სოფლის მეურნეობის მოდერნიზებას, ნატურალურ მეურნეობაზე, როგორც ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროზე, დამოკიდებულების შემცირებას, სახნავი მიწების ათვისებასა და წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვას. სოფლის განვითარება კი გულისხმობს რეგიონებში ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ისეთი დარგების განვითარებას, როგორცაა ტურიზმი, ხელსაქმე და სხვა, რაც სოფელს დამატებით შემოსავალს მოუტანს.

**ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD)** ყველაზე მსხვილი პროექტია, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ევროკავშირის დახმარებით ახორციელებს. ENPARD ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENI)-ს ფარგლებში ფინანსდება და მას ხელი 2012 წლის ბოლოს მოეწერა. პროგრამა გულისხმობს სოფლის მეურნეობის სტრატეგიის შემუშავებას, ფერმერული ასოციაციების შექმნას და მცირე ფერმერების განვითარებას. ENPARD-ის I ფაზის ფარგლებში, (2013-2016 წლებში) საქართველოსთვის გამოიყო 52 მილიონი ევრო, რომელიც მოიცავს საბიუჯეტო დახმარებას; გრანტებს ოთხ კონსორციუმზე: OXFAM (დიდი ბრიტანეთი), CARE (ავსტრია), People in Need (ჩეხეთი) და Mercy Corps (შოტლანდია); და თანამონაწილეობის შეთანხმებას, რომელიც UNDP-სთან ერთად, ერთობლივი მენეჯმენტის გზით აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვისაა განკუთვნილი.<sup>55</sup> პროგრამა 2020 წლამდე გრძელდება.

ENPARD მიმართულია კვების უსაფრთხოების, მდგრადი წარმოებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. პროექტის ძირითადი ინსტრუმენტებია ფერმერებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, მთავრობის დახმარება საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად. ასევე, პროგრამის ფარგლებში გაიცემა გრანტები ფერმერებისთვის, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ENPARD-ის პირველი ფაზის ფარგლებში შემუშავდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია, შეიქმნა 1000-მდე კოოპერატივი და სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სააგენტო. აგრეთვე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფერმერების ინფორმირება დარგში ახალი ტექნოლოგიების შესახებ.

ENPARD-ის მეორე ფაზა 2016 წლის გაზაფხულზე დაიწყო. იგი მოიცავს სოფლის მეურნეობის, კვების უსაფრთხოების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმებისა და სოფლის განვითარების ხელშეწყობას. ასევე აქცენტი გაკეთდება მონყვლადი ჯგუფების, ქალებისა და კონფლიქტის

<sup>53</sup> ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD-Georgia); ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

[http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/brochures/agriculture/enpard022013\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/brochures/agriculture/enpard022013_ka.pdf)

<sup>54</sup> ევროკავშირის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI) 2014-2020 - მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩო (SSF) (2014-2017); ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

[http://eeas.europa.eu/enp/pdf/financing-the-enp/georgia\\_2014\\_2017\\_summary\\_of\\_the\\_programming\\_document\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/enp/pdf/financing-the-enp/georgia_2014_2017_summary_of_the_programming_document_en.pdf)

<sup>55</sup> ბროშურები და საინფორმაციო ბიულეტენები; ENPARD.ge <http://enpard.ge/ge/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA/>



შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მეორე ფაზა აფხაზეთისთვის 4 მილიონი ევროს ოდენობის დახმარებას ითვალისწინებს.<sup>56</sup>

ENPARD-ის მიმდინარე მეორე ფაზის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოფლის განვითარება (Rural Development), რომელიც საქართველოსთვის შედარებით ახალი დარგია. ეს ნიშნავს, რომ ფოკუსი არ იქნება მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარება, არამედ მნიშვნელოვანი აქცენტი ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე კეთდება. სოფლის განვითარება გულისხმობს სოფლის მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის გაჩენას ისეთი აქტივობების სტიმულირების საშუალებით, როგორცაა ტურიზმი, ხელსაქმე, და სხვა.<sup>57</sup>

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ევროკავშირთან ერთად, ჩართულია ევროკავშირის წევრი სახელწიფოები. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2014 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ ევროპულ ქვეყნებთან და დონორ ორგანიზაციებთან: **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გერმანიის განვითარების ბანკი (KfW), ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ნიდერლანდების სამეფო, ავსტრიის განვითარების სააგენტო, უნგრეთი, შვედეთის განვითარების სააგენტო.**<sup>58</sup>

ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA საქართველოს ფართო ეკონომიკურ სარგებელს და პროდუქტის ექსპორტის შესაძლებლობებს სთავაზობს. თუმცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტისთვის საქართველომ ჯერ DCFTA-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის პროდუქცია დაახლოებული უნდა იყოს ევროკავშირის სტანდარტებს და რეგულაციებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, გამოცდილების გაზიარება ხდება ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, აღსანიშნავია **ესტონეთის და ლატვიის** გამოცდილება.<sup>59</sup>

**ნიდერლანდების სამეფო** რომელიც, 2014-15 წლების მონაცემებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამ ყველაზე მსხვილ დონორს შორისაა, აქტიურად არის ჩართული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჰოლანდია არის სოფლის მეურნეობის დიდი ტრადიციის მქონე ქვეყანა და საქართველოს ეხმარება თავისი გამოცდილებისა და ტექნოლოგიების გაზიარებით. ნიდერლანდების სამეფოს მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკთან ერთად ხორციელდება, გულისხმობს ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციას. პროექტის ძირითადი ბენეფიციარი და განმახორციელებელი სოფლის მეურნეობის სამინისტროა.<sup>60</sup> **ავსტრიის განვითარების სააგენტო** ჩართულია საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში. ძირითადი აქცენტი კეთდება სოფლის მეურნეობის მოდერნიზებაზე, პროდუქციის დივერსიფიკაციაზე, ასოციაციების შექმნით მეურნეობის განვითარებაზე, პროდუქციის ხარისხის ზრდასა, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის დონეზე სოფლის მეურნეობის სექტორის ინსტიტუციურ გაძლიერებაზე. სურსათის უვნებლობა **შვედეთის** საელჩოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სამთავრობო უწყებები, მაგ: შვედეთის სტატისტიკის სამსახური, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სურსათის ეროვნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობენ გამოცდილების გაზიარების მიზნით. სოფლის მეურნეობის სექტორში **გერმანიის** ჩართულობა აგროდაზღვევების განვითარებაში გამოიხატება. აღნიშნული შედარებით ახალი სფეროა საქართველოსთვის. საპილოტე პროექტის პარალელურად, გერმანიის რეკონსტრუქციისა

<sup>56</sup> Action Document for the European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development in Georgia, phase II (ENPARD Georgia II); Annex 2

<sup>57</sup> EU launches new call for proposals for pilot rural development measures under ENPARD programme in Georgia (23/03/2016); Delegation of the EU to Georgia; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press\\_corner/all\\_news/news/2016/20160323\\_01\\_en.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2016/20160323_01_en.htm)

<sup>58</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2014 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; <http://www.moa.gov.ge/Ge/Public/Annual/4>

<sup>59</sup> ინტერვიუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელთან.

<sup>60</sup> Grant Agreement between Georgia and the Netherlands to rehabilitate Zemo Samgori Irrigation System; Embassy of the Kingdom of the Netherlands in Tbilisi, Georgia; November 4, 2014;

<http://georgia.nlembassy.org/news/2014/grant-agreement-geo-nl.html>

და განვითარების საკრედიტო ბანკმა (KfW) აგროდაზღვევის პოტენციალის გამოკვლევისა და კონცეფციის დამუშავებისთვის, გრანტის სახით, საქართველოსთვის 200 000 ევრო გამოყო.<sup>61</sup>

სოფლის განვითარება **ჩეხეთის მთავრობის დახმარების** ერთ-ერთი პრიორიტეტია საქართველოში. მასშტაბური პროექტები, როგორც წესი, ფინანსდება ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ, ხოლო საელჩო შედარებით მცირე ბიუჯეტის პროექტებს აფინანსებს. ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობის სექტორში პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ჩეხეთის მთავრობა მხარს უჭერს ბიომრავალფეროვნების, ტურიზმისა და, აგრეთვე, ფიტოსანიტარული ნორმების განვითარებას ქვეყანაში. აღსანიშნავია მეფუტკრეობის წახალისება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ბიოთაფლის წარმოება. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორში პროექტები ხორციელდება თუშეთსა და იმერეთში, ასევე მცირემასშტაბიანი პროექტები აჭარის რეგიონში, ქართლსა და ნიქოზში. ზემო აჭარაში ჩეხეთის პროექტები მიმართულია ორგანული ხილის მოყვანისა და მევენახეობის განვითარებისკენ. თუშეთში ხდება სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების მხარდაჭერა და რეგიონისთვის მატერიალური და ტექნიკური დახმარების განწევა. აღსანიშნავია, რომ რეგიონის სოფლები მომარაგდა წყლითა და ელექტროენერგიით, რაც დეპოპულაციის შემცირებას უწყობს ხელს. ჩეხური ორგანიზაციები ჩართული არიან ასევე ENPARD-ის პროგრამაში, კერძოდ, იმერეთის რეგიონში კოოპერატივების შექმნის წახალისებაში.

**ბულგარეთი** შედარებით ახალი დონორია საქართველოსთვის. ბულგარეთმა საგარეო დახმარების შესახებ კონცეფცია 2007 წლიდან შეიმუშავა და საქართველოც ბენეფიციარი ქვეყნების პრიორიტეტულ სიაში მოხვდა. ბულგარეთის დახმარების პროგრამების განხორციელება საქართველოში 2013 წლიდან დაიწყო და იგი მორგებულია ქვეყნის პრიორიტეტებზე. საქართველოში ბულგარეთის ჩართულობა სოფლის მეურნეობის სფეროში ფიქსირდება გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით. პროექტების ნაწილი ხორციელდება სხვა დონორებთან ერთად თანადაფინანსებით. ასოცირების ხელშეკრულების და DCFTA-ის იმპლემენტაციაში საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს **ესტონეთი**. ძირითადად, ეს გამოიხატება პროფესიულ ტრენინგებში საქართველოს სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებისთვის და ესტონელი ექსპერტების საქართველოში ვიზიტებით. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ესტონეთი საქართველოს ეხმარება ფიტოსანიტარული ნორმების ასოცირების ხელშეკრულებასა და DCFTA-სთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში.<sup>62</sup>

<sup>61</sup> აგროდაზღვევის პერსპექტივები საქართველოში; რადიო თავისუფლება; 14 ივლისი 2014; <http://www.radiotavisupleba.ge/a/agrodazgvevis-perspektivebi/25455926.html>

<sup>62</sup> ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2015; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

## დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. თუმცა საწყის ეტაპზე საქართველო და, ზოგადად, კავკასიის რეგიონი ევროკავშირისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას არ წარმოადგენდა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას ხელი შეუწყო 2003 წლიდან ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შემუშავებამ და მოგვიანებით აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ამოქმედებამ. 2007-2015 წლებში ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარება საქართველოსადმი პერმანენტულად იზრდებოდა და 2015 წლისთვის 487, 66 მილიონი ევრო შეადგინა.

წარმოდგენილი დოკუმენტის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი ფორმატები და ხელშეკრულებები, საქართველოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ორმხრივი ურთიერთობა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტები. შედეგად გამოიკვეთა თანამშრომლობის ის ძირითადი სფეროები, რომლებიც საქართველოსა და ევროკავშირს, ასევე საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს. ევროკავშირთან თანამშრომლობის მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ევროკავშირის ჩართულობის პრიორიტეტული სფეროებია განსაზღვრული: **საჯარო სამსახურის რეფორმა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება, მართლმსაჯულების სექტორის რეფორმა.**

გამოიკვეთა, რომ ევროკავშირის ცალკეული წევრი სახელმწიფოების ინტერვენციის სფეროები საქართველოში თანხვედრაშია საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სფეროებთან. შესაბამისად, კვლევის დროს შესწავლილი იქნა შემდეგი საკითხები: **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება; საჯარო სამსახურის რეფორმა; ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის შემცირება; სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება.**

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა დოზით არიან ჩართული საქართველოში კონკრეტული სფეროების განვითარებაში. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ყველაზე მსხვილ დონორებს წარმოადგენენ **გერმანია, შვედეთი, პოლანდია.** ასევე, აღსანიშნავია **დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, ჩეხეთის და პოლონეთის** ჩართულობა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ ზემოთაღნიშნულ სფეროებში. მნიშვნელოვანი ფაქტორია ფინანსური რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს დასავლეთ ევროპულ ქვეყნებს კონკრეტული მიმართულებების დაფინანსებაში.

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომელთა საგარეო დახმარების პოლიტიკა ბოლო წლების განმავლობაში შემუშავდა, ძირითადად რეფორმების გამოცდილების გაზიარებითა და ტექნიკური დახმარებით შემოიფარგლებიან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ევროკავშირის პროგრამებშიც. რესურსების სიმცირე და გამოუცდელობა ხელს უშლის „ახალი ევროპის“ ქვეყნებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მსგავსად მასშტაბური პროგრამების განხორციელებაში. სანაცვლოდ ისინი კონცენტრირებული არიან კონკრეტულ სფეროებში ექსპერტიზით, რომელშიც გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ. მაგალითად, შეიძლება გამოიყოს **ესტონეთის, ლიტვას, ბულგარეთის და რუმინეთის** დახმარება.

კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია დამატებით შესწავლილ იქნას ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების დახმარების პროგრამების ხარჯ-ეფექტიანობა. აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს დახმარების პროგრამების პრიორიტეტების და მათი მნიშვნელობისა გაანალიზებას საქართველოს განვითარებაში.

## დანართი

კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი სახელმწიფო უწყებებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან :

- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- დონორთა კოორდინაციის სამსახური;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოში ევროკავშირის დელეგაცია;
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო;
- დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩო;
- ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო;
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო;
- ლიტვის რესპუბლიკის საელჩო;
- ესტონეთის რესპუბლიკის საელჩო;
- პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო;
- რუმინეთის რესპუბლიკის საელჩო;
- შვედეთის სამეფოს საელჩო.

**EUROPEAN UNION'S AND ITS MEMBER STATES'  
ASSISTANCE TO GEORGIA:  
PRIORITIES AND OBJECTIVES**

Research Report

Tbilisi  
2016

Research team:

ANA DVALI  
MIKHEIL JAKHUA  
IVAN CHIKALO

Project director:

GIORGI KANASHVILI

Translator  
Designer

GURAM DUMBADZE  
ANA BRAGVADZE



კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN  
HOUSE

The publication is created by the NNLE The Centre for Cultural Relations – Caucasian House funded by the British Embassy Tbilisi. The contents of this document are the sole responsibility of authors and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Government of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland.

## CONTENTS

<b>Introduction</b> .....	25
<b>EU-Georgia cooperation priorities and bilateral relations</b> .....	26
<b>Sectoral priorities of EU-Georgia cooperation</b> .....	28
Justice sector reform, freedom and security .....	28
Public administration reform .....	31
Economic development, poverty reduction and social protection .....	32
Agriculture and rural development .....	33
<b>Conclusion</b> .....	36
<b>Annex</b> .....	37



## INTRODUCTION

European Union is one of Georgia's largest donors, providing assistance and advice in almost all spheres of the country's economic, political and social life. In addition, Georgia receives substantial support from individual EU member states but the focus and volume of their aid programs vary from donor to donor.

European Union, as well as its member states, is interested in – and committed to – promoting stability, security and prosperity in its periphery through European Neighborhood Policy (ENP), which is designed to deepen political relationship and economic integration with its southern and eastern neighbors. The ENP budget and the amount of EU financial assistance for regional countries give a clear indication of how important this issue is for EU. Since ENP came into effect, European Union and EU governments have significantly intensified their involvement and political dialogue with Tbilisi. **In 2007-2015 EU grants and loans to support the country's budget were steadily rising and reached 487.66 mln EURO.**<sup>1</sup>

Apart from EU-Georgia cooperation, Tbilisi is keen to strengthen bilateral ties with individual EU member countries and learn from their experience of democratic transition, social and economic reforms, development and European integration. EU member states play a significant role in the ongoing Georgian reforms, but the degree of their involvement and the sectoral distribution of their assistance vary from donor to donor. They differ widely in terms of their interests, areas of intervention and the volume of aid, with the differences being largely determined by their *foreign policy priorities, experience and expertise in specific areas, and financial resources*.

The given research presents the results and findings of a research into the main aspects of cooperation between Georgia and EU member states, existing bilateral cooperation agreements, ongoing and implemented projects of EU countries and areas of their intervention in Georgia. The research involved interviews with representatives of Georgian governmental institutions – the ministry of internal affairs, the ministry of agriculture, the office of the state minister for reconciliation and civil equality, and the office of the state minister for European and Euro-Atlantic integration – and foreign diplomats accredited to Georgia, including representatives of German, UK, Czech, Dutch, Polish, Lithuanian, Estonian, Romanian and Sweden embassies, and the European Union's delegation to Georgia.

The research is based on statistical data from 2014 and 2015 reports of Donor Coordination Unit (DCU), a structural unit of the policy analysis, strategic planning and coordination department of the government administration) and the integrated electronic database **eaims.ge**, which is jointly run by the government administration, the finance ministry and the office of the state minister for European and Euro-Atlantic integration.

The scope of the research included main areas of EU-Georgia cooperation on the one hand, and bilateral cooperation between Georgia and individual EU member states on the other. For a more comprehensive assessment of the EU-Georgia relations, the research should continue and include Cost Effective Analysis (CEA) to determine whether the value of EU governments' intervention justifies its cost.

---

<sup>1</sup> DATA.Gov.Ge; <http://data.gov.ge/DataSets/Browse/80d81db8-9ef3-4fb8-9f2c-3e2a6dc8495e>

## EU-GEORGIA COOPERATION PRIORITIES AND BILATERAL RELATIONS

First active contacts between European Union and Georgia date back to the 90s. In 1996 Georgia and the EU signed a framework agreement on partnership, which laid the foundation for political dialogue and economic cooperation between Tbilisi and Brussels. However, the EU did not have any clear vision and strategy as to how to deal with Georgia, and the region in general, at that time. With the start of ENP in 2003 and Eastern Partnership (EaP) initiative some time later, Georgia-EU relations entered a new phase. Within EaP framework, the European Union and Georgia have negotiated and signed **Association Agreement** (27 June 2014) as a basis for political association and economic integration of Georgia with the EU and simultaneously agreed **Association Agenda (AA)**,<sup>2</sup> which set strategic priorities for EU-Georgia cooperation in 2014-2016.<sup>3</sup>

Association Agenda priorities:

- Political reform and dialogue;
- Foreign and security policy;
- Co-operation on justice, freedom and security;
- Trade and trade-related matters;
- Economic cooperation;
- Other cooperation policies.<sup>4</sup>

**Single Support Framework (SSF)** of the European Neighborhood Instrument (ENI) is European Union's main programming document to specify priority sectors and the volume of EU support to Georgia in 2014-2017. Under SSF, Georgia is supposed to receive around **335-410 mln EURO** of EU grants and loans in this period for the following priority sectors:<sup>5</sup>

- Public administration reform (25% of SSF funds);
- Agriculture and rural development (30%);
- Justice sector reform (25%);
- Support to civil society (5%);
- Support for institutional development (15%), namely for the implementation of EU-Georgia agreements (AA, DCFTA and VLAP).

**Association Agenda** and **SSF** are the main programming documents to define EU-Georgia cooperation priorities. The focus areas of the research were chosen on the basis of right these documents. Bilateral cooperation between Georgia and EU member states was also analyzed during the research. **The above mentioned documents and interviews with government officials and foreign diplomats revealed that the following sectors attract particular attention from the EU and its member states:**

- **Justice sector reform, freedom and security;**
- **Public administration reform;**
- **Agriculture and rural development;**
- **Economic development and poverty reduction.**

<sup>2</sup> Association Agenda between the European Union and Georgia; Civil.ge;  
<http://www.civil.ge/files/files/EU-GeorgiaAssociationAgenda.pdf>

<sup>3</sup> EU-Georgia Association Agreement; Office of the State Minister in European and Euro-Atlantic Integration;  
<http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement>


<sup>4</sup> Namely: transport; energy cooperation; environment and climate change; civil protection; industrial and enterprise policy; tourism; company law, accounting and auditing, and corporate governance; financial services; cooperation in the field of information society; agriculture and rural development; fisheries and maritime policy; cooperation in research, technological development and innovation; consumer policy; employment, social policy and equal opportunities; public health; cooperation in the cultural field; cooperation in audiovisual and media field; regional development and regional-level cooperation.

<sup>5</sup> State Minister Alexi Petriashvili and European Commissioner Stefan Fule signed two documents; Parliament of Georgia; July 18, 2014;  
<http://www.parliament.ge/ge/media/axali-ambebi/saxelmwifo-ministrma-aleqsi-petriashvilma-da-evrokomisarma-shtefan-fulem-saqart-velo-parlamentshi-xeli-moaweres-or-dokuments.page>

Priorities of foreign embassies and foundations are usually influenced by a country’s experience and expertise in a target sector and its foreign policy preferences, as well as its financial resources – i.e. depend on whether a country fits into the category of traditional donor. For instance, Georgia’s main donors are western European nations with sufficient financial resources. **Germany, Sweden and Netherlands** are among the largest donor countries of the European Union.<sup>6</sup>

**In 2015, according to DCU, German assistance for Georgia amounted to 283 mln USD (34.9% of the total bilateral aid for the country), Sweden provided some 200 mln USD (19%), while Netherlands allocated 27 mln USD. European Union’s share in the total assistance Georgia received from international donor organizations in 2015 was estimated at 18.1%.<sup>7</sup>**

**The volume of European Union’s and its member states’ assistance for Georgia in 2015:**



Data from DCU Annual Report 2015

Several Eastern European countries have recently emerged as important actors in the field of international development cooperation, having undergone a transition from recipients to providers of financial support for democratic processes in developing countries. These include **Lithuania, Estonia, Bulgaria and Romania**. Georgia is one of the priority recipients of their aid. Eastern and Central European countries are actively involved in EU programs and bilateral experience/information sharing and technical assistance projects, Poland and Czech Republic being most notable examples.

Several types of financial support are available in the framework of cooperation with EU and its member states: **budget support programs, grants, technical assistance and investment projects**. Assistance under bilateral cooperation agreements with individual EU member states is delivered by a donor country’s embassy in Tbilisi or its development agency or other relevant governmental institution, depending on what kind of foreign assistance system the donor country has.

<sup>6</sup> External Aid in Georgia, Annual Report 2015; Administration of Government of Georgia.

<sup>7</sup> *ibid.*

# SECTORAL PRIORITIES OF EU-GEORGIA COOPERATION

## JUSTICE SECTOR REFORM, FREEDOM AND SECURITY

EU-Georgia Association Agenda defines **justice sector reform, freedom and security** as one of the priority sectors of EU-Georgia cooperation. It includes the following sub-sectors: *personal data protection, migration and asylum, border management, the fight against organized crime and illegal drug trade, and justice sector coordination*. The same priorities are highlighted by SSF.<sup>8</sup>

EU provides significant support to Georgia in strengthening the rule of law and implementing justice sector reforms, offering grants and technical assistance to both governmental and non-governmental actors.<sup>9</sup>

Specific tasks of the **justice sector reform** according to EU-Georgia Association Agenda:

- strengthen the independence, efficiency, impartiality and professionalism of the judiciary;
- enhance the equality of arms in the criminal proceedings;
- ensure the right to fair trial;
- reform juvenile justice to protect the rights of children;
- create a proper constitutional setting for the prosecutor's office with effective oversight;
- further improve rehabilitation and re-socialization policies in criminal justice.<sup>10</sup>

Targeted assistance programs of EU member states for different Georgian governmental agencies are another important instrument of cooperation in the justice sector reform. According to DCU, 289.9 mln GEL (152.7 mln USD) was allocated by donors to reform the justice system and strengthen the rule of law in Georgia in 2015. The largest contributions from EU member states came from **Sweden** (56.53 mln GEL), **Germany** (5.37 mln GEL), and **Poland** (3.27 mln GEL).<sup>11</sup>

**German society for international cooperation (GIZ)**, which is commissioned by the German federal ministry for economic cooperation and development, is one of Georgia's main partners in the process of justice sector reforms. It provides technical advice on strategies and legal acts, particularly in the area of private and administrative law, and promotes and facilitates programs and respective trainings to raise awareness among the Georgian public of the content of judicial reforms. GIZ plans to spend 7 mln EURO in 2015-2018 within the framework of its regional program "Legal Approximation towards European Standards in South Caucasus" to fund projects in different governmental institutions.<sup>12</sup> The aforementioned program involves support for justice sector reforms in South Caucasus countries in accordance with EU standards, regional dialogue on the rule of law, dissemination of information regarding the content and best practices of reforms from other countries, development of integrated legal consultation services, and provision of advisory services on strategies and legal acts.<sup>13 14</sup> **The German Foundation for International Legal Cooperation (IRZ)** assistance for Georgia is focused mainly on justice and prison reform.<sup>15</sup>

<sup>8</sup> European Union External Action; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718\\_01\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718_01_ka.pdf)

<sup>9</sup> In 2008-2014, with EU financial support, Georgia successfully implemented a package of far-reaching reforms, particularly in the field of criminal and juvenile justice (expanding the legal excuses from criminal responsibility for minors and juvenile offenders and adopting a new juvenile criminal code), the prison and probation service, the judiciary and the police, and initiated a reform of the public prosecutor's office.

<sup>10</sup> EU-Georgia Association Agenda; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap\\_aa/associationagenda\\_2014\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf)

<sup>11</sup> External Aid in Georgia, Annual Report 2015; Administration of Government of Georgia.

<sup>12</sup> *ibid.*

<sup>13</sup> Justice ministry of Georgia; <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5062>

<sup>14</sup> High council of justice of Georgia; <http://hcoj.gov.ge/ge/reforms/ongoing-projects>

<sup>15</sup> External Aid in Georgia, Annual Report 2014; Administration of Government of Georgia.

## HUMAN RIGHTS AND FREEDOMS

Association Agenda requires to ensure respect for human rights and fundamental freedoms through comprehensive cooperation, including adoption of a comprehensive national human rights strategy/action plan and anti-discrimination legislation, and effective implementation of the UN convention on the rights of persons with disabilities.<sup>16</sup>

In 2014, in an important step towards fulfilling Georgia's obligations under the Association Agreement, the Georgian parliament approved national human rights strategy 2014-2020 and national human rights action plan 2014-2015;<sup>17</sup> passed the law on the elimination of all forms of discrimination; revised the labor, criminal justice and election legislation; and ratified the UN convention on the rights of persons with disabilities.

**Netherlands** is one of Georgia's main partners in human rights reforms. The Dutch embassy in Tbilisi provides substantial financial support for the country's civil sector, offering grants for projects on democratization, human rights, and the rights of women and minorities.

Every year the **German embassy** in Tbilisi provides small grants (45 thousand EURO) for human rights projects, though this area is not among its top priorities. These projects are usually focused on the protection of vulnerable groups against violation of their rights.<sup>18</sup> Protection of LGBT community's rights is one of the priorities of the **Czech embassy's** grants program.<sup>19</sup>

Democracy, human rights and gender equality take a prominent place in the Swedish-Georgian cooperation. **Swedish International Development Cooperation Agency (SIDA)** and UN jointly implemented a gender equality program in Georgia in 2011-2015,<sup>20</sup> which aimed to empower women to participate fully in economic and political life, create safeguards to protect women from domestic violence and gender-based crimes, and ensure women's reproductive rights. Different Georgian institutions were involved in the program implementation: the parliament, governmental ministries and departments (the national statistics office – Geostat, the national foods agency, and the national bureau of enforcement, the national agency of public registry, and the public service development agency) and non-governmental organizations.<sup>21</sup>

## SECURITY

The Georgian government's another priority is to reduce crime and increase efficiency of the country's police force with better training and equipment.<sup>22</sup> Georgia has been making headway in its fight against crime in recent times and the Georgian government is anxious to build on achieved successes and intensify its anti-crime effort. To this end, the government set forth the following goals for the 2015-2016 period: to enhance the investigative and crime-prevention capacities of the law-enforcement bodies and strengthen their ability to fight organized crime and maintain law and order, improve policing strategies and tactics, and ensure efficient protection of human rights.<sup>23</sup> Cooperation between the Georgian law-enforcement agencies and international donor organizations/countries is crucial to improving public safety in the country. The Georgian interior ministry maintains effective working relationship with its EU counterparts to jointly address the problems of **migration, border security and human rights violations**.

<sup>16</sup> European Union External Action [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718\\_01\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2014/20140718_01_ka.pdf)

<sup>17</sup> Legislative Herald of Georgia; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391005>

<sup>18</sup> Programs of the German Federal Republic in Georgia; Information bulletin, December 2015.

<sup>19</sup> Interview with a representative from Czech embassy.

<sup>20</sup> UN representation in Georgia, [http://www.ungeorgia.ge/eng/UN\\_in\\_Georgia/un\\_agencies?info\\_id=28#.Vxl2pPI97IU](http://www.ungeorgia.ge/eng/UN_in_Georgia/un_agencies?info_id=28#.Vxl2pPI97IU)

<sup>21</sup> SIDA, <http://www.sida.se/English/where-we-work/Europe/Georgia-/Our-work-in-Georgia/>

<sup>22</sup> National Human Rights Strategy of Georgia (2014-2020)

<sup>23</sup> External Aid in Georgia, Annual Report 2015; Administration of Government of Georgia.

